



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #33

აპრილი, 2014

გამოშვებაში
წაიკითხავთ

ელექტრონული მმართველობის განვითარების
საკითხებზე მომუშავე ჯგუფმა შეხვედრა გამართა

1 ელ.მმართველობის განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის სხდომა

2 ტრენინგი კომერციული ბანკების წარმომადგენლებისთვის

3 ელ.მმართველობის განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მორიგი შეხვედრა

3 ლექცია კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურის სკოლის მოსწავლეებისთვის

4 შეხვედრა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებთან

4 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სკაიპით მომსახურება აღადგინა



ელექტრონული მმართველობის ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა, განხილულ იქნა შემდეგ პროექტებთან დაკავშირებული საკითხები: იდენტიფიცირების ცენტრალური სისტემა, ერთიანი სამთავრობო ქსელი,

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, მოქალაქის პორტალი და სახელმწიფოს ერთიანი ინფორმაციული რეესტრი.

სამუშაო ჯგუფში სხვადასხვა სამინისტროებისა და სააგენტოების წარმომადგენლები შედიან.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის მუშაობის მიზანია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ელექტრონული მმართველობის კიდევ უფრო განვითარებული სისტემის შექმნა, რომელიც ემსახურება მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ეფექტიანი და გამარტივებული ურთიერთობის დამკვიდრებას. შედეგად მოქალაქეს შესაძებლობა ეძლევა ისარგებლოს სახელმწიფო სერვისებით ქვეყნის ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერ დროს, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყნის ინტერნეტიზაციის მხარდაჭერა და ამ მხრივ მუშაობა (გაგრძელება გვ.2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.1)

ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და შესაბამისი პლატფორმების გამოყენებით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის სწრაფი და უსაფრთხო საშუალებების ამოქმედება, რაც ზრდის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის განხორციელების პროცესის გამჭვირვალობას.

რადგანაც ელექტრონული მმართველობის განხორციელების აუცილებელი პირობაა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება, ეს საჭიროს ხდის ამავე სისტემების დაცულობის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე ქვეყანაში ვითარდება ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებები, რაც კომისიის მუშაობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

კომისიის მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელების შედეგად საქართველო პოზიციონირდება როგორც რეგიონში ტექნოლოგიურად დაწინაურებული ქვეყნა, რაც საინვესტიციო მიზიდველობასაც განაპირობებს და კიდევ უფრო აახლოვებს ქვეყანას ევროატლანტიკურ სივრცესთან.

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობ სახელმწიფო კომისიას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კი იუსტიციის მინისტრია.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა კომერციული ბანკების წარმომადგენლებისთვის ტრენინგი ჩაატარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა კომერციული ბანკების წარმომადგენლებისთვის ტრენინგები ჩაატარეს. ტრენინგის მიმდინარეობისას, რომლის მთავარი თემაც ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები იყო, კომერციული ბანკების შესაბამისი პროფილის წარმომადგენლები ინფორმაციული უსაფრთხოების შესავლის, დანერგვისა და აუდიტის პრინციპებს გაეცნენ.

ტრენინგის მიზანია საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების შესაბამის პერსონალს გააცნოს ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი მიზნები და მოთხოვნები, რაც

ორგანიზაციამ უნდა დააკმაყოფილოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ჩამოყალიბების, დანერგვის, ფუნქციონირებისა და გაუმჯობესების ყველა ეტაპზე. მონაცემთა გაცვლის სააგენტო მსგავს ტრენინგებს რეგულარულად ატარებს როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების, ისე კერძო კომპანიების წარმომადგენლებისთვის, რათა ამ ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ხარისხი და, ზოგადად, სტანდარტები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ნორმებთან. – **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

ტრენინგს, რომელიც 28 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა საქართველოში მოქმედი შემდეგი კომერციული ბანკების წარმომადგენლები ესწრებოდნენ: პროკრედიტბანკი, ვი-თი-ბი ბანკი, საქართველოს ბანკი და ბანკი კონსტანტა.

ხუთდღიანი ტრენინგი დასრულდება ტესტირებით, რომლის შედეგების საფუძველზეც გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრაზე, რომელსაც მთავრობის ადმინისტრაციისა და სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სამი ძირითადი საკითხი განიხილეს. განხილული საკითხები ინფორმაციული უსაფრთხოების, საერთაშორისო სავაჭრო ქსელისა და IT სამსახურების განვითარებისა და ოპტიმიზაციის მიმართულებებს ეხებოდა.

კომისიის მიზანია საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების მეშვეობით ელექტრონული მმართველობის

განხორციელების საკითხების კოორდინირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. მის შემადგენლობაში შედის ყველა სამინისტრო, რომლებიც წარმოდგენილია მინისტრის მოადგილეებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისგან; ასევე, საქართველოს პარლამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა.

კომისიის ფარგლებში შექმნილია 9 სამუშაო ჯგუფი, რომლიც გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს კომისიის წევრებს გარკვეული პერიოდულობით წარუდგენს.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობ სახელმწიფო კომისიას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კი იუსტიციის მინისტრია.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში ვ. კომაროვის სახელობის თბილისის 199-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართეს. სააგენტოს წარმომადგენლების მიერ მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეტაპებისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ.

„ვინაიდან აღნიშნული სკოლა ტექნიკური პროფილისაა, მოსწავლეთა შორის ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ინტერესი განსაკუთრებით დიდია. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების შესახებ, ასევე

გავაცანით ონლაინ უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით კომპიუტერთან მუშაობისას თუ მობილური მოწყობილობების გამოყენებისას. ასევე გადავეცით შესაბამისი თემატური საილუსტრაციო მასალა.“ - **ირაკლი ლომიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ქართულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა



მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან გააფორმა, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ხელმძღვანელებმა სტუდენტებს აღნიშნული ორგანიზაციების მუშაობის სფეროები და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან

დაკავშირებული მიმდინარე პროექტები გააცნეს.

„საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი უაღრესად მნიშვნელოვანია, რომელიც სამართლის მიმართულების პროგრამების სტუდენტთა პროფესიული მომზადების ხელშეწყობას, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მეთოდური სიახლეების დანერგვასა და იურიდიული განათლების სფეროში კვლევითი და სამეცნიერო პროექტების ერთობლივ განხორციელებას შეუწყობს ხელს, თუმცა აღნიშნული მემორანდუმი სტუდენტებისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა პროექტების გაცნობასაც გულისხმობს. დღეს ჩვენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ვისაუბრეთ. გავაცანით მათ ელექტრონული მმართველობისა და ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების მნიშვნელობა. მიმოვიხილეთ ამ მიმართულებით ჩვენი სააგენტოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები. ასევე საინტერესო პრეზენტაციები გააკეთეს სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სკაიპით მომსახურება აღადგინა



სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოქალაქეების დისტანციური მომსახურება სკაიპის საშუალებით 2013 წლის 14 ნოემბრიდან დროებით შეწყვიტა. აღნიშნულის მიზეზი სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის განკუთვნილ სკაიპის მისამართზე უცხოეთიდან განხორციელებული კიბერ შეტევა გახდა, რის შედეგადაც მოხდა დაუდგენელი პირის მიერ სკაიპ მისამართის – sda.ge მითვისება.

ამ ეტაპზე მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დახმარებით, სრულად აღმოიფხვრა აღნიშნული პრობლემა და სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური

მომსახურებით სარგებლობისთვის მოქალაქეებს უკვე აქვთ საშუალება, სრულიად დაცული სკაიპ მისამართის – sda.ge საშუალებით მიიღონ კონსულტაცია.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
 თბილისი 0102, საქართველო
 ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
 ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.